ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3409063

ნომერი: AR1523764

თარიღი : 18.07.2017

გაცემის თარიღი : 25.07.2017

გაცნობის თარიღი : 25.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 118 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გაბელაშვილი პ/ნ 41001008446
- თბილისი ზაჰესი ენერგეტიკის ქ. N 8 ბ. 37

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 18 ივლისის AR1523764 განცხადება, რომელშიც ითხოვთ სამსახურის მიერ 2017 წლის 23 მაისის № 3269695 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ განაშენიანების რეგულირების ხაზის გაუქმებას პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ ზემოხსენებული 3 მეტრიანი განაშენიანების რეგულირების ხაზი დატანილია სტანისლავსკის ქუჩის მხრიდან განაშენიანების რეგულირების მიზნით, ვინაიდან ნაკვეთი მდებარეობს სატრანსპორტო საშუალებებით გადატვირთულ მონაკვეთზე, სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეჩერება სავაჭრო ობიექტთან კიდე უფრო შეაფერხებს, ისედაც გადატვირთულ მოძრაობას. სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია გზასა და შენობას შორის ბუფერული სივრცის შენარჩუნება, რაც ასევე უზრუნველყოფს შენობასთან სრულყოფილი მისასვლელის არსებობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 18 ივლისის AR1523764 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.